



საქართველოს დიალიზის,
ნეფროლოგიისა და თირკმლის
ტრანსპლანტაციის კავშირი

პერიტონეული დიალიზი

ინფორმაცია პაციენტებისათვის




არცან - და როზი
ბაზელი შვეიცარია

ჩვენი მიზანია, მოსახლეობასა და სამედიცინო
საზოგადოებას მიგაწოდოთ მეტი ინფორმა-
ცია თირკმლების ქრონიკული დაავადების
გამოვლენის, პრევენციისა და მკურნალობის
შესახებ.

პერიტონეული დიალიზი

1. რა არის პერიტონეული დიალიზი


პერიტონეული დიალიზი არის თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის არჩევითი მეთოდი, რომლის დროსაც ურემიული ტოქსინებისა და ჭარბი სითხის ტრანსპორტირება სისხლიდან ხორციელდება მუცლის ფარის გავლით. აღნიშნული ტოქსინები სისხლიდან ჯერ გადადიან მუცლის დრუში წინასწარ შეუვანილ სადიალიზო სითხეში, ხოლო შემდეგ იქიდან გამოიდევნებიან გარეთ, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. პერიტონეულ დიალიზს საფუძვლად უდევს სამი ერთდროულად მიმდინარე პროცესი: დიფუზია, ულტრაფილტრაცია და კონვექცია.



2. ნახევრადგამტარი მემბრანა


პერიტონეული დიალიზის პროცესი აგებულია ნახევარგამტარი მემბრანის პრინციპზე. სწორედ ამ ტიპის მემბრანა გამოიყენება “ხელოვნური თირკმლის” აპარატში. ადამიანის მუცლის ფარიც ასევე ნახევარგამტარი აღმოჩნდა:

ის შეიცავს მიკროსკოპულ ფორებს, რომლებიც თავის გასწორივ ატარებენ დაბალ და საშუალო მოლექულური წონის ნივთიერებებს, ხოლო მაღალი მოლექულური წონისას აკავებენ ორგანიზმში.



ნახევარგამტარი მემბრანის ეს თვისება საშუალებას იძლევა, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ურემიული ტოქსინები და ორგანიზმისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ნივთიერებები, მაგ. ცილები.


თუ ნახევრადგამტარ მემბრანას მოვათავსებთ წყალში, რომელშიც შეწონილია დაბალმოლექულური ნევთიერებები, ისინი დაიწყებენ თავისუფლ მოძრაობას ნახევრადგამტარი მემბრანის გასწვრივ მაღალი კონცენტრაციიდან დაბალი კონცენტრაციის მიმართულებით მანამ, სანამ მემბრანის ორივე მხარს აღნიშნული ნივთიერების კონცენტრაცია თანაბარი არ გახდება. ამ პროცესს ეწოდება დიფუზია.



თუ ნახევარგამტარი მემბრანის ერთ მხარეს სითხეში შევიყვანთ ნივთიერებას, რომელიც დიდი ზომის მოლექულური შენების გამო ადვილად ვერ გააღწევს მემბრანის ფორებში, მაგ. გლუკოზა, მემბრანის ცალ მხარეს შეიქმნება კონცენტრაციული გრადიენტი, რომელიც გამოიწვევს წყლის გადაადგილებას მემბრანის გასწვრივ გლუკოზის უფრო მაღალი კონცენტრაციის


მიმართულებით ანუ უფრო ხატოვნად, გლუკოზა თითქოს „ღრუბელივით” იწოვს წყალს. ორგანიზმიდან სითხის გამოდევნის ამ პროცესს ულტრაფილტრაცია ეწოდება.

კონვექცია ეწოდება ულტრაფილტრაციის პროცესში ნივთიერების პასიურ მოძრაობას ნახევრადგამტარი მემბრანის გასწვრივ ანუ დაბალმოლექუპური ნივთიერებები, მაგალითად როგორიც არის ელექტროლიტები, “მიუვებიან” წყლის ნაკადს.




3. მუცლის ფარი ანუ პერიტონეუმი

პერიტონეუმით ამოფენილია მუცლის ღრუს შიდა ზედაპირი, მცირე მენჯი და ასევე მასში განლაგებული შინაგანი ორგანოები.




პერიტონეუმი შეიცავს დიდი რაოდენობით სისხლძარღვებს და თუ მუცელის ღრუში შევიყვანთ სითხეს, ის იქცევა ნახევარგამზარ მებბრანად სისხლსა და სითხეს შორის, რომლის გასწვრივ იწყებს მოძრაობას წყალი და მასში გახსნილი საშუალო და დაბალმოლექულური ნივთიერებები.



4. პერიტონეული დიალიზის ფიზიოლოგია

სისხლი შეიცავს სისხლის უჯრედებს,ცილებს,ვიტამინებს და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ნივთიერებებს. ცხოველქმედების პროცესში სისხლში ასევე ხდება მრავალრიცხოვანი ტოქსინი,რომლებიც ორგანიზმიდან გამოიდევნებიან თირკმლებით. თირკმლების ტერმინალური უკმარისობის დროს პერიტონეულს შეუძლია შეასრულოს თირკმლების ზემოაღნიშნული ფუნქცია. თუ პაციენტის მუცლის ღრუში შევიყვანო პერიტონეული დიალიზის ხსნარს, რომელსაც დიალიზაციაში უწოდებენ, ურემიული ტოქსინები დაიწყებენ პერიტონეულის გასწვრივ მოძრაობას ანუ სისხლიდან დიალიზაციში გადასვლას.




ულტრაფილატრაცია,რომელიც საჭიროა ორგანიზმიდან ჭარბი სითხის გამოსაღევნად,ხორციელდება დიალიზაციის შემადგენლობაში შემავალი გლუკოზის მაღალი კონცენტრაციის ხარჯზე. დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ, როდესაც კონცენტრაციული გრადიენტი ნულოვანია, პერიტონეულის გასწვრივ ტოქსინებისა და

წყლის მოძრაობა წყდება და შესაძლოა უკუშეშოვის დაწყება. ეს იმის მანიშნებელია, რომ საჭიროა ტოქსინებით გაჯერებული ხსნარის გამოდევნა და ახალი დიალიზატით ჩანაცვლება. სწორედ ამიტომ, პერიტონეული დიალიზის დროს ხდება ხსნარების ჩანაცვლება საშუალოდ 6 საათში ერთხელ.

5. პერიტონეული დიალიზის კათეტერი

5.1 კათეტერის დანიშნულება

ზემოთაღწერილი ხსნარების ჩანაცვლება შეუძლებელია პერიტონეული დიალიზის კათეტერის გარეშე. რომლის იმპლანტაცია ხდება წინასწარ ოპერაციული გზით პერიტონეული დიალიზის პროცედურების დაწყებამდე 7-10 დღით ადრე.




5.2 პერიტონეული კათეტერის ტიპები

სურათზე მოყვანილია პერიტონეული დიალიზისათვის განკუთვნილი კათეტერის რამდენიმე ნაირსახეობა.



5.3 იმპლანტაცია

მუცელის დრუში კათეტერის იმპლანტაცია ხორციელდება ღია ოპერაციული გზით პერიდურული ანესტეზიის გამოყენებით. შესაძლებელია კათეტერის ლაპაროსკოپიული იმპლანტაციაც.



კათეტერის ნაწილი ჩაკიდულია მუცლის ღრუში, ხოლო მეორე ნაწილი გამოდის ყრუდ მუცლის ზედაპირზე. კათეტერი ფიქსირებულია მანქეტების საშუალებით. პაციენტის ოპერაციის შემდგომ საავადმყოფო ში დაყოვნების პერიოდს განსაზღვრავს მკურნალი ექიმი. პაციენტი გადის სპეციალურ მზადებას კათეტერის სწორად გამოყენების, მოვლის, დიალიზატის ჩანაცვლებისა და პირადი ჰიგიენის წესების დაცვის ასათვისებლად. სურათზე მოყვანილია მუცლის ზედაპირზე კათეტერის გამოსავალი ადგილი.



6. ეს საყურადღებოა!

6.1 პროცედურის ჩატარების პირობები

პერიტონეული დიალიზის ხსნარების ჩანაცვლება მარტივი შესასრულებელია. პერიტონეული დიალიზის ხსნარის შემცველი პაკეტების მიმაგრება და მოხსნა პაციენტისთვის უმტკივნეულო პროცესია. ექიმის მიერ წინასწარ შერჩეულ რეჟიმის მიხედვით პაციენტი ინაცვლებს ხსნარებს სახლში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც კი არსებობს შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები.

პერიტონეულ დიალიზზე მყოფ პაციენტს შესაძლებლობა აქვს თავისუფლად გადაადგილდეს და არ იყოს დამოკიდებული კლინიკაზე ისე, როგორც ეს ხდება ჰემოდიალიზის შემთხვევაში. დიეტაც ნაკლებად მკაცრია და შეზღუდვები უმნიშვნელოა.

შესაძლებელია, პაციენტის ყოველდღიური მოდგაწეობის გათვალისწინებით მოვახდინოთ მკურნალობის სქემის ცხოვრების რეჟიმთან ადაპტირება ისე, რომ პაციენტმა კომფორტულად იგრძნოს თავი. პაციენტი კლინიკაში ცხადდება მხოლოდ გეგმიური გამოკვლევების ჩატარების მიზნით.


ორგანიზმიდან ტოქსინების უწყვეტი გამოდევნა, ასევე ორგანიზმში სითხის რაოდენობის მუდმივი რეგულირება ამცირებს არტერიული წნევის მერყეობის ეპიზოდებს და უზრუნველყოფს გულ-სისხლძარღვთა სისტემის სტაბილობას.

6.2 გართულებები




გართულებები შეიძლება განვითარდეს კაოეტერის იმპლანტაციის დროს, ასევე ოპერაციის შემდგომ პერიოდში და უფრო მოგვიანებითაც, მკურნალობის დროს. იმპლანტაციის შემდეგ ადრეულ პოსტოპერაციულ პერიოდში გართულებების მიზეზი შეიძლება იყოს:


ადგილობრივი სისხლდენა



კათეტერის არასწორი მდებარეობა



სითხის გაჟონვა



კათეტერის გამოსახვლელი ადგილის ინფიცირება და კათეტერის არხის ანთება




ჩამოთვლილი გართულებების მკურნალობა ტარდება ადგილობრივად სადეზინფექციო სენარებით, ანტიბიოტიკებით, საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა ქირურგიული კორექცია.



პერიტონიტი

პერიტონიტი პერიტონეული დიალიზის ყველაზე ხშირი გართულებაა, რომელიც ვითარდება მუცლის დრუს ინფიცირების შედეგად. ინფიცირების ყველაზე ხშირი გზაა ეგზოგენური ანუ ხსნარების შენაცვლების პროცესში მუცლის დრუში გარედან ინფექციის მოხვედრა. მიკროორგანიზმები შეაღწევენ მუცლის დრუში კათეტერის საშუალებით. ხელსაყრელ პირობებში, ტემპერატურა და გლუკოზა, მოხვედრილი მიკროორგანიზმები იწყებენ სწრაფ გამრავლებას, რაც იძლევა პერიტონიტის სურათს.



პერიტონიტის დაწყების პირველი ნიშანია მუცლიდან გამოსული სადიალიზო სითხის ამდვრევა. ასევე პერიტონიტის სიმპტომებია მუცლის არეში ტკივილები და დებინება. პერიტონიტის დიაგნოზის დადასტურების შემთხვევაში ინტრაპერიტონეულად ნიშნავენ

ანტიბიოტიკებს. ანტიბიოტიკები შეიძლება შეყვანილ იქნას დიალიზატში ან ინტრავენურად ან მიღებულ იქნას ტაბლეტირებული სახით.



პერიტონიტის მკურნალობა უნდა ჩატარდეს სტაციონარის პირობებში.



6.3 უკუჩვენება



პაციენტმა უნდა გააკეთოს არჩევანი, თირკმლის ჩანაცვლებითი ოქრაპიის რომელი სახეობა არის მისთვის უფრო მისადები: პერიტონეული თუ ჰემოდიალიზი. ექიმს შეუძლია, სამედიცინო ჩვენებიდან გამომდინარე, პაციენტს მისცეს რჩევა, მკურნალობის რომელი მეთოდია მისთვის რეკომედებული.

პერიტონეული დიალიზი უკუნაჩვენებია ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა:

- ნაწლავების ქრონიკული დაავადება ან დივერტიკულოზი;
- გადატანილი მწვავე პერიტონიტი ანამნეზი;
- მუცელის ფარის მთლიანობის დარღვევა / სტომა;
- ფილტვების ქრონიკული დაავადება;
- გიგანტური პოლიკისტოური თირკმლები.

სამედიცინო ჩვენებების გარდა პერიტონეულსა და ჰემოდიალიზს შორის არჩევანის მიღებაში გადამწყვეტი შეიძლება იყოს პაციენტის სოციალური მდგომარეობა.



Recormon®
Epoetin Beta



შეიგრძნელთ ასალი ენერგია

- **რეკორმონის** გამოყენება თირკველის ქრონიკული დაავადებების დროს ამცირებს ავადობას და სიკვდილობას
- **რეკორმონი** ჰემოგლობინის სამიზნი დონის ეფექტური კონტროლის საჭუალებას იძლევა
- **რეკორმონის** აზრეული გამოყენება აუმჯობესებს ავადებით ზოგად გლობალურაობას და ამცირებს პარლიოვასულარული გართულების აღგათვებას
- **რეკორმონი** მოხარეებულია მოხარეებისთვის. იგი გამოიყენება კანევებ კვირაში ერთხელ და შესაძლებელია თვით-გამოყენებულ იქნას ააცირების მიერ
- **რეკორმონის** გამოშვების სსეალასევა ფორმა (2000ი.ც, 4000ი.ც, 10000ი.ც) და მზა სსნარი შპრიც-ში ზღდის მისი გამოყენების კომფორტულობას
- **რეკორმონი** არ შეიცავს ადამიანის შრატის ალეტუმინს, რაც ამცირებს მის იშურებელობას
- **რეკორმონი** მცოცლიობი ყველაზე სტირად მოხარეებადი ეპოეტინია თირკველის ქრონიკული დაავადებების დროს

დაგატარიბითი იცვლებაციის მიღება შესაძლებელია:
კოფერან-ლა რომის რაომოგადგელობა საქართველოში
მისრომანა კ. 1
ტელ.: 37 99 20, 38 92 99, ფაქსი: 37 46 21
ელ.-ფოსტა: rochegeorgia@wanex.net

